თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8060984

ნომერი: AR11156873

თარიღი : 14.08.2026

გაცემის თარიღი : 27.08.2026

გაცნობის თარიღი : 27.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სალომე მაყაშვილი პ/ნ 01030048194
- თბილისი ა.ჩიქობავას ქ. N30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 14 აგვისტოს №AR11156873 განცხადებით მომართა სალომე მაყაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 13

ივლისის №8000423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ავტოსადგომებისა და ბინების ნუმერაციასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებით, №01.14.05.006.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018247 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდა: 3610.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1671.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 2013.9 კვ.მ., საერთო ფართობად: 14917.4 კვ.მ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +4.30, +8.30 და +11.60 გეგმები (12-15 ფურცლები) ჩანაცვლდა 2026 წლის 16 ივლისის №AR11152671 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2026 წლის 07 აგვისტოს №8037193 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდა 697.9 კვ.მ, ხოლო, საერთო ფართობად - 14922.7 კვ.მ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებით შეთანხმებული (2026 წლის 24 ივლისის №8018247 ბრძანებით გათვალისწინებული) გეგმები (10-28 ფურცლები) ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით, გარდა +57.80 ნიშნულზე არსებული გადახურვის გეგმისა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებაში ავტოსადგომებისა და ბინების ნუმერაციასთან დაკავშირებით მოხდა ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა დატანილი ბინების ნუმერაცია, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებებში. ამასთან, არ იცვლება გეგმარება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ბინებისა და ავტოსადგომების ნუმერაციის დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებაში და სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2026 წლის 07 აგვისტოს №8037193 ბრძანებით გათვალისწინებული) -7.30, -4.00, +44.60, 47.90, 51.20 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 ივლისის №8000423, 2026 წლის 24 ივლისის №8018247 და 2026 წლის 07 აგვისტოს №8037193 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.